საქართველო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. დედოფლისწყარო **02 / მარტი / 2020 წ.**

ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44. 1600, ტელ: 035622503
Dedoplistskaro, N44, M. Kostava str. 1600, Tel: 035622503
www.dedoplistskaro.ge E-mail. dedoplistskaro_region@yahoo.com

KA000072360265320

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 142-ს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობისკოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს:

ა) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 -ის შესაბამისად;

ბ) 2020 -2021 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმაბი 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (ელენე ბაიაშვილს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა)საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

დ) რეკომენდაციები ახლადშემოთავაზებული პროგრამებისპრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაცულ და შესყიდვების სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. N2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად ნიკოლოზ ჯანიაშვილი